პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 ივნისი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 107 (9774) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურა მისალმებ გამოცდებზე

ჩათვლები დაიწყო

გუშინ თბილისის „ლოკომოტივისა“ და სამედიცინო ინსტიტუტის სტადიონებზე დაიწყო ნორმატივების ჩაბარება ფიზიკურ მომზადებაში უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის.

პირველი აბიტურიენტი, რომელმაც „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩათვლა ჩააბარა, არის თბილისელი თამარ ჭელიძე. მას სურს მისაღები გამოცდები ჩააბაროს უნივერსიტეტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე. თამარმა 500 მეტრი გაირბინა 2.19,6 წამში, 100 მეტრი — 17 წამში, ბუქნი წინმკლავში შეასრულა 33-ჯერ. მან სამივე ნორმატივი ჩააბარა გუშინვე, პირველივე ცდით (შეგახსენებთ, აბიტურიენტს უფლება ეძლევა თითოეულ ნორმატივში ერთდროულად ან სხვადასხვა დროს სამჯერ მოსინჯოს ძალა).

„ლოკომოტივის“ სტადიონზე მუშაობს უნივერსიტეტის მიმღები კომისია (კომისიის თავმჯდომარე— უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი ვახტანგ გოგუაძე, მოადგილე — ფიზაღზრდის კათედრის გამგე ელენე გოკიელი), მაგრამ აქ ნორმატივების ჩაბარება რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებსაც შეუძლიათ. ამ სტადიონზე ნორმატივების მიმღები კომისია მუშაობს დილის 9-დან 15 საათამდე ყოველდღე, შაბათისა და კვირის ჩათვლით.

შეიქმნა მთავარი კომისია

გუშინ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროდან გვაცნობეს, რომ გამოიცა საგანგებო ბრძანება, რომლითაც შეიქმნა ფიზიკურ მომზადებაში აბიტურიენტთა ჩათვლების მიმღები მთავარი კომისია. კომისია იმუშავებს 5 ივნისიდან სტუდქალაქის სტადიონზე (ჭავჭავაძის 37) 17-დან 18 საათამდე ყოველდღე, გარდა კვირისა. მთავარ კომისიას უნდა მიმართოთ იმ შემთხვევაში თუ ინსტიტუტების მიმღებ კომისიასთან რაიმე პრეტენზია გექნებათ.

არაფერი არ შეიცვალა

ვასილ დავიდენკოს მესამე გამარჯვება

თბილისის ზღვის საგზატკეცილო რკალი 24 კილომეტრზე ოდნავ მეტს შეადგენს. მრავალდღიანი ველორბოლის მეხუთე ეტაპი, რომელიც გუშინ გაიმართა, ხუთ ასეთ წრეს მოიცავდა. დისტანციის პროფილი აქ, მოგეხსენებათ, არაერთფეროვანია, მაგრამ იმდენად არა, რომ მონაწილეებისთვის გარკვეული სიძნელეები შეექმნა. ამიტომაც მსაჯთა კოლეგიამ ფინიში ერთ-ერთ ყველაზე გრძელ აღმართზე მოაწყო.

მაგრამ ჩანაფიქრი არ განხორციელდა. ეტაპი რბოლის თითქმის ყველა მონაწილემ ერთ ჯგუფად დაამთავრა. სწორედ ამის გამო გუნდურ ჩათვლაში არაფერი შეცვლილა. რბოლას კვლავ საქართველოს ველოსიპედისტთა კოლექტივი ლიდერობს.

და მაინც, არც ეს ეტაპი იყო ადვილად დასაძლევი. პირველი და მთავარი სირთულე ველოსიპედისტებს კოკისპირულმა წვიმამ შეუქმნა, რომელმაც მხოლოდ რბოლის მეორე ნახევარში გადაიღო. წვიმა ასეთ რთულპროფილიან ტრასაზე საშიშიცაა და გარკვეულწილად ხელის შემშლელიც. ბევრ ველოსიპედისტს საბურავმა უმტყუნა, ბევრი იძულებული იყო დროებით რბოლა შეეწყვიტა, მაგრამ დაზარალებულთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გარკვეული შეფერხებების შემდეგ ძირითად ჯგუფს ისევ შეუერთდნენ.

ბოლო, მეხუთე წრის ფინიშს ფაქტიურად მთელი ჯგუფი მოწყდა და ისევ როგორც წინა ეტაპებზე გამარჯვებულის ვინაობა სპრინტერულმა ბრძოლამ გადაწყვიტა. აი, აქ, ამ შეჯიბრებაში მესამედ, თბილისის გუნდის წარმომადგენელმა ვასილი დავიდენკომ გამოიჩინა თავი. მან სულ მცირედით აჯობა მეოთხე ეტაპზე გამარჯვებულ ევგენი მოსკალიოვს (ყაზახეთი). ფინიშთან მესამე ლენინგრადელი კირილ ბელიაევი იყო. დრო სამივეს ერთნაირი ჰქონდა —2:39.21.

ვასილი დავიდენკოს შედეგი ამ შეჯიბრებაში ნამდვილად უნიკალურია. მრავალდღიან ველორბოლებში ასეთი რამ, თუ არ ვცდებით, არც მომხდარა. ჩატარდა ხუთი ეტაპი და თბილისელი ველოსიპედისტი მესამე ადგილზე დაბლა არ ჩამოსულა (სამჯერ ეტაპებზე პირველი იყო, ერთხელ მეორე და ერთხელაც — მესამე). მისი მთავარი კონკურენტი ხარკოველი ვიქტორ სოლოვიოვი ლიდერობას პირად ჩათვლაში ჯერჯერობით ინარჩუნებს, მაგრამ მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ ფინიშთან ძირითად ჯგუფთან ერთად მოდის. ბრწყინვალე შთაბეჭდილებას სტოვებენ საქართველოს გუნდის სხვა წევრებიც, რომელთაგან ერთი (გარი კეხბა) საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზეა, მეორე კი (ვიქტორ ოვანესიანი) მეხუთეზე.

დარჩენილ ეტაპებზე რა მოხდება, ძნელი სათქმელია, მაგრამ გუნდურ პირველობაში ჩვენს ველოსიპედისტებს პირველობას მეტნაკლებად სამი-ოთხი კოლექტივი (ხარკოვი, უკრაინის ნაკრები, რუსეთის ფედერაციის ნაკრები. ყაზახეთი) თუ შეეცილება. ყველაფერი დარჩენილ სამ ეტაპზე გაირკვევა. დღეს ველორბოლის მონაწილენი პირველობას გაითამაშებენ თბილისი — ანანური — ჯვარის რთულ ტრასაზე.

* * *

სურათზე: ასეთი კომპაქტური ჯგუფით გადაკვეთეს ფინიშის ხაზი მეხუთე ეტაპის მონაწილეებმა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

სახელდახელო ინტერვიუ

პირველი — სამედიცინო ინსტიტუტიდან

ჩხოროწყუს რაიონში მცხოვრები რამაზ ლემონჯავა და დედაქალაქი. ქალბატონი მედეა, გუშინ რედაქციაში გვწვევენენ. რამაზი პირველი აბიტურიენტია, რომელმაც სამედიცინო ინსტიტუტის მიმღებ კომისიას ჩააბარა ნორმატივები ფიზიკურ მომზადებაში.

● ქალბატონო მედეა, როდის ჩამობრძანდით ჩხოროწყუდან?

— ამ დილით.

● საგანგებოდ ჩათვლისთვის ჩამოხვედით?

— დიახ.

● ქუთაისი ხომ უფრო ახლოს იყო, იქ რატომ არ ჩაბრძანდით?

— არ ვიცოდით, თუ იქაც ჩაიბარებდნეს ნორმატივებს.

● რატომ იჩქარეთ ჩათვლაზე გასვლა, ჯერ ხომ დიდი დროა საბუთების შეტანამდე?

—არც ის ვიცოდით, თუ გვიანაც შეიძლებოდა ჩაბარება და თადარიგი დავიჭირეთ.

იხ. მე.2 გვ

დეპეშა ნომერში

სულითა და გულით ვულოცავთ ლევან თედიაშვილს მთავარ პრიზს მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის ტაშკენტის X საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმში „ხარება და გოგი“.

ბორჯომი. საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი.

გ. ზონინი: „ჟველას დიდი მადლობა!“

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი გ. ზონინი ერთ-ერთი საწვრთნელი ვარჯიშის ხელმძღვანელობის დროს დაშავდა. სამწუხაროდ, ტრავმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. ექიმ-სპეციალისტთა კონსულიუმმა გადაწყვიტა, რომ ავადმყოფს ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა. ამასთან დაკავშირებით გ. ზონინმა დაწერა განცხადება და ითხოვა ავადმყოფობის გამო „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან განთავისუფლება.

გუშინ „ლელოს“ კორესპონდენტი ესაუბრა გ. ზონინს. აი, რა თქვა მან: „ისეთი სახელოვანი ტრადიციების მქონე კოლექტივში, როგორიცაა თბილისის „დინამო“, მე მომიწვიეს, როცა გუნდს უჭირდა და მოხარული ვარ, თუ შევძელი დახმარება. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, სპორტსახკომმა, „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ დიდად შემიწყვეს ხელი მუშაობაში. მათ მხარდაჭერას არასდროს დავიწყებ. მერწმუნეთ, ავადმყოფობა რომ არა, წელსაც შევასრულებდი დანაპირებს. შემდგომ წარმატებას ვუსურვებ ქართულ ფეხბურთს“.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

როგორც ცნობილია, 22-27 ივნისს თბილისში ჩატარდება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

გუშინ გაიმართა ტურნირის ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. სხდომაზე განიხილეს სტუმრების მიღება-დაბინავების, მომსახურების, საშეფო მუშაობის, ტურნირის პროპაგანდისა და უშუალოდ შეჯიბრების ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. ვარძელაშვილმა.

ზუგდიდი. სპორტის ეროვნულ სახეობებში რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით ცხენოსნობაში პირველი ადგილი დაიკავა აფხაზეთის ნაკრებმა, მეორე იყო სამტრედიის, მესამე ჩოხატაურის გუნდები.

(თამაზ ქიქავას ფოტო).

რა ფასი აქვს ასეთ ჩემპიონატს?

SOS

აჭარელი ხელბურთელები გულდაწყვეტილნი ტოვებდნენ სპორტულ მოედანს. არადა, მოგებაც შეეძლოთ, გამოცდილი მწვრთნელი გუნდთან რომ ყოფილიყო და სწორად წარემართა თამაში (მან ამ პერიოდში საკავშირო ტურნირზე არჩია სხვა გუნდთან ერთად წასვლა). გაურკვეველი მიზეზით შეჯიბრებაზე გამოუცხადებლობისათვის გათამაშებიდან მოიხსნა აფხაზეთის ნაკრები გუნდი... ასე დაიწყო საქართველოს 1988 წლის ჩემპიონატის I წრე ხელბურთში ვაჟთა შორის, რომელიც ამას წინათ თელავში ჩატარდა. ქალთა შორის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩებზე (სოხუმი), არ გამოცხადდა სამტრედიის ხელბურთელთა კოლექტივი.

გუნდი არ ჩამოვიდა რუსთავიდან, ხოლო გურჯაანის რაიონმა 8 მონაწილის მაგიერ 2 გამოგზავნა, კასპის რაიონის წარმომადგენელმა კი ულტიმატუმი წამოაყენა — გინდათ თუ არა, შინ 2 დღით ადრე გაგვიშვით, ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ბელორუსიის გუნდს ველოდებით და თქვენთვის არ გვცალიაო, აიკრეს გუდა-ნაბადი და შეჯიბრება მართლაც მიატოვეს?!

ისე, სასხვათაშორისოდ „ჩატარდა“ ხობში საქართველოს პირველობის ერთ-ერთი ტური მაგიდის ჩოგბურთშიც. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა სარგებლობა მოაქვს ამგვარ ჩემპიონატს, ასრულებს თუ არა იგი სპორტის ამა თუ იმ სახეობის რეზერვის მომზადება-დათვალიერების, სპორტის პოპულარიზაციის ფუნქციას? არა, პირიქით.

პასუხისმგებლობას და მომთხოვნელობას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიანობის ყველა სფეროში. ამაზე კიდევ ერთხელ მართებთ დაფიქრება ზემოხსენებული რეგიონების სპორტულ ხელმძღვანელებს.

ხელბურთში ვაჟთა ტურნირზე დასრულდა მეორე წრის შეხვედრები. ახლა გათამაშების ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: 12-12 ქულით ლიდერობენ ქუთაისისა და თელავის წარმომადგენლები, 8 ქულით მესამე ადგილზეა სამხრეთ ოსეთის ნაკრები, შემდეგ მოდიან აჭარისა და რუსთავის გუნდები, რომლებსაც 4-4 ქულა აქვთ.

ნოდარ მაჭარაძე.
რესპუბლიკის სპორტსახკომის სპორტული თამაშების განყოფილების უფროსი.

სრული შემადგენლობით

საქართველოს ჭაბუკ სამბისტთა გუნდმა, რომელიც II საკავშირო თამაშებისთვის ემზადება, სრული შემადგენლობით ისპარეზა უკრაინის ღია ტურნირში, რომელიც ცნობილი სპეციალისტის რ. შკოლნიკოვის ხსოვნას ეძღვნება. კიევში თავი მოიყარეს მასპინძელთა, მოსკოვის, სომხეთის, მოლდავეთის, მაიკოპისა და სხვათა გუნდების სპორტსმენებმა.

ჩვენმა საბმისტებმა ტურნირში სამი პირველი, ამდენივე მეორე და ექვსი მესამე ადგილები დაიკავეს. ჩემპიონები გახდნენ საგარეჯოელი **მამუკა კურდღელაშვილი** (48 კგ), ახმეტელი **ფრიდონ ყვავილაშვილი** (75) და თბილისელი **თემურ რატიანი** (97). მეორე ადგილებზე გავიდნენ კასპელი **ბადრი ჯანიაშვილი** (45), თბილისელი **ბონდო მარიდაშვილი** (48) და ქუთაისელი **გიორგი ხურციძე** (მძიმე წონა).

ბრინჯაოს პრიზიორები არიან: თბილისელები **მევლუდ მელაძე** (45), **ალეკო ფანტიაშვილი** (70) და **დავით ლომიძე** (87), აგრეთვე საგარეჯოელი **გოჩა მეკოკიშვილი** (45), ფოთელი **მურთაზ თურქია** (56) და ქარელელი **ბესიკ ჭოჭოლავი** (81).

გუნდი შეჯიბრებისთვის მრამზადა საქართველოს ჭაბუკ სამბისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ.

ფიზკულტურა მისალმებ გამოცდებზე

საუბარი აბიტურიენტებთან

ათი გაკვეთილი ფიზკულტურაში

გაკვეთილი მერვე. ჩვენი გაკვეთილები დასასრულს მიუახლოვდა. იმედი გვაქვს წინა შვიდმა გაკვეთილმა ბევრ თქვენგანს უკვე გაუღვივა ფიზკულტურაში სისტემატური მეცადინეობის სურვილი. ამას თქვენს მიერ რადაქციაში გამოგზავნილი წერილებიც ადასტურებს.

მეშვიდე გაკვეთილიდან თქვენ უკვე გადახვედით უფრო ინტენსიურ დატვირთვაზე. ამ ტემპს აღარ შევანელებთ, პირიქით, თანდათან გავზრდით დატვირთვებთან ერთად, მაგრამ ისე, რომ არ გადაიღლებით, გუნება-განწყობაც კი გაგიუმჯობესდებათ.

ამჟამად ვაუები გაირბენენ 1000 მეტრს აჩქარებული ტემპით. როგორც იცით, ეს მანძილი ჩასათვლელი ნორმატივია. საკონტროლო დროის დაფიქსირება ჯერ აუცილებელი არ არის, ეს შემდეგისთვის გადავდოთ, მით უფრო, დარბიხართ აჩქარებული და არა ჩქარი ტემპით. როცა დისტანციას გაირბენთ, შეისვენეთ, 50-80 მეტრი გაიარეთ და ამის შემდეგ შეუდექით შემდეგი ნორმატივის შესრულებას. წოლბჯენიდან ხელების მოხრა, გაშლა დღეს 14-ჯერ შეასრულეთ ნელ ტემპში, შემდეგ ისევ შეისვენეთ, გაიარეთ 50-60 მეტრი და მესამე ნორმატივი — ბუქნი წინმკლავში — შეასრულეთ 45-ჯერ.

ვინც გადაწყვიტა მხოლოდ ჩათვლას დაჯერდეს და ნიშანი არ სურს, მას შეუძლია შეასრულოს წოლბჯენიდან ხელების მოხრა, გაშლა 12-ჯერ და არა 14-ჯერ. საერთოდ. ნიშანი იმიტომ იწერება, რომ თუ აბიტურიენტი 9 ან 10 ქულას მოაგროვებს ორ ნორმატივში, მესამეს აღარ ჩააბარებს. ნიშანს მხოლოდ ეს უპირატესობა აქვს. სხვა შემთხვევაში ნიშანს არავითარი უპირატესობა არ ენიჭება თანაბარქულიანებში, მთავარია, „ჩათვლა“.

გოგონები ამ გაკვეთილზე 450 მეტრს გაირბენენ აჩქარებული ტემპით. ბუქნი წინმკლავში უნდა შეასრულოთ 30-ჯერ, შესვენების შემდეგ კი წოლელა მდგომარეობიდან. წამოჯდომი კვლავ 22-ჯერ სრულდება. ეს ვარჯიშები არასრული დატვირთვით (ვთქვათ, ბუქნით ან წამოჯდომით 10-ჯერ ან 12-ჯერ) შეგიძლიათ საღამოსაც გიმეოროთ ნელი ტემპით.

ვინაიდან „ლელო“ პარასკევს არ გამოდის, აქვე გეტყვით, რომ მეცხრე გაკვეთილზე ყველაფერი იგივე მეორდება, რაც მერვე გაკვეთილშია მითითებული, ოღონდ რბენაში ოდნავ მოუმატეთ ტემპი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 101, 102, 103, 104, 105, 106.

პირველი — სამედიცინო ინსტიტუტიდან

(დასასრული)

● რამაზ, გაგიჭირდა ნორმატივების ჩაბარება?

— არა.

● რა ჩაბარეთ?

— 100 მეტრზე რბენა, იატაკზე წოლბჯენიდან ხელების მოხრა, გაშლა და ბუქნი წინმკლავში.

● რა შეფასება მიიღეთ?

— 100 მეტრი 14 წამში გავირბინე და „4“ დამიწერეს, მკლავებზე ავიწიე 22-ჯერ და ფრიადის ნორმატივს 7-ით გადავაჭარბე, ბუქნი, წინმკლავში კი 50-ჯერ შევასრულე.

● ცურვა იცით?

— ვიცი, მაგრამ, რაკი სამ ნორმატივს ვასრულებდი, აუზზე წასვლა საჭირო აღარ გახდა.

● ჰო, მართლა, სად, რომელ სპორტულ ბაზაზე ჩაბარეთ ნორმატივები?

— სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე, ამავე ინსტიტუტის მიმღები კომისიის წინაშე.

● წარმატებას გისურვებთ.

— გმადლობთ.

უნივერსიადა-88

იმედი არ გამართლდა

რესპუბლიკურ უნივერსიადაზე კალათბურთელ ვაჟთა გამოსვლებით გაწბილებულნი უკეთეს მდგომარეობას გოგონათა ორთაბრძოლებში ველოდით. სამწუხაროდ, იმედი არც აქ გამართლდა. მიუხედავად წინასწარ წარმოდგენილი განაცხადებისა, შეჯიბრებაზე არ გამოვიდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სუბტროპიკული ინსტიტუტების, ქუთაისის, ბათუმისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტების კოლექტივები.

პირველი ადგილისთვის ბრძოლაში რვა გუნდი (საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები კონკურსგარეშე გამოდიოდა) ჩაება. მაყურებლები და სპეციალისტები მაინცდამაინც არც მათ თამაშებს აღუფრთოვანებია. აშკარად შეიმჩნეოდა დისპროპორცია ძალთა თანაფარდობაში. ეს სხვაობა თვალში საცემი იყო თვით ფავორიტებს შორისაც. მაგალითად, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც ქვეჯგუფში დიდი ანგარიშით დაამარცხა ჯერ სამედიცინო (76:36), შემდეგ გორის ეკონომიკური ინსტიტუტის (88:30) წარმომადგენლები და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა, თანანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებს. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა ორივე შეხვედრა დათმო (შესაბამისად 58:71 და 60:71). რაც შეეხება ჩემპიონობის ბედს, იგი უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა შეხვედრაში გადაწყდა. ვაჟების მსგავსად, აქაც პოლიტექნიკოსებმა იმარჯვეს (69:63).

— მომავლისთვის შეჯიბრებების სხვა ფორმულით ჩატარება მოგვიწევს, — გვითხრა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ კალაძემ. — მონაწილეები ორ ქვეჯგუფად უნდა დავყოთ — ძალთა თანაფარდობის მიხედვით. უძლიერესი ქვეჯგუფის გამარჯვებული საკავშირო შეჯიბრებაზე გაემგზავრება, შედარებით სუსტი კოლექტივები კი უძლიერეს ქვეჯგუფში მოსახვედრად იბრძოლებენ. ვფიქრობთ, ასეთ პირობებში პაექრობები უფრო საინტერესო იქნება.

ვაჟა დანელია.

ბალახის ჰოკეისტთა საკავშირო პირველობებზე ჩვენი რესპუბლიკის ერთადერთი წარმომადგენელი — ქუთაისის „ლოკომოტივი“ ასპარეზობს. გუნდმა წელს მეოთხედ აიღო სტარტი I ლიგის გათამაშებაში.

4-5 მაისს ლოკომოტიველები ალმა-ათაში ერთმანეთს ადგილობრივ არმიელებს. ორივე შეხვედრის ძირითადი დრო დასრულდა ერთ-ერთ 1:1. პენალტების სერიაში ორივეჯერ მაჩაბლებმა გაიმარჯვეს, 10-11 და 14-15 მაისს კი ქუთაისელებმა შოსტკის „სვეზლა“-ს ვინიცის „ბურევესტნიკს“ უმასპინძლეს. ქუთაისელებმა შოსტკელები ორივეჯერ ერთნაირი ანგარიშით — 1:0 — დაამარცხეს (გოლები: ძნელაძე, ჭიკაძე), ვინიცელებთან გამართულ პირველ შეხვედრაშიც ამ ანგარიშით გაიმარჯვეს (გოლი გაიტანა მამისეიშვილმა), მეორე მატჩში კი პენალტების სერიით მიაღწიეს გამარჯვებას — 2:1.

ახლახან ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა „ლოკომოტივის“ მთავარ მწვრთნელს თემურ არჩაიას.

მიზანი — უმაღლესი ლიგა

● წინა წლებში ჭირდა გუნდის სტაბილური შემადგენლობის შენარჩუნება, ამჯერად რა მდგომარეობაა გუნდში, აჩის თუ არა ცვლილებები?

— გუნდის ძირითადი ბირთვი მეტ-ნაკლებად შევინარჩუნეთ. კვლავ მწყობრში არიან ჩვენი წამყვანი ჰოკეისტები, გუნდის ვეტერანები მ. ჯოჯუა, ა. კოხრეიძე, ს. მამისეიშვილი, მ. ფულარიანი, დ. გოლეთიანი, ა. მილოვი, მ. ჭიკაძე, გ. კუდუხოვი, ა. ჯანგავაძე, ა. მაჩალაძე, ა. ძნელაძე, ა. გოგავა, დ. ნარსია... საბჭოთა არმიის რიგებიდან დაგვიბრუნდნენ გ. რაფკო და ხ. ჯავახაძე, თბილისის გუნდიდან გადმოვიდა თ. წიქარაშვილი. მოზარდთა და ახალგაზრდული გუნდებიდან მოვიწვიეთ პერსპექტიული ჰოკეისტები — ძმები არველაძეები, მ. კომახიძე, ა. გიგატაძე, კ. კეპულაძე, ბ. შენგელია. სხვადასხვა მიზეზების გამო კოლექტივი დატოვეს ი. ყუბანეიშვილმა, ე. გოგავამ, ნ. მამედოვმა, ე. ტალაბაძემ, რ. ამაღლობელმა და ვ. დათიაშვილმა.

● წელს როგორ მოემზადა „ლოკომოტივი“?

— გასული წლის დამლევს შევიკრიბეთ. სამედიცინო შემოწმების შემდეგ სისტემატურ წვრთნას შევუდექით. ვფიქრობ, ფიზიკურად ურიგოდ არ ვართ მომზადებულნი. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია მძლეოსნობის მწვრთნელის ა. ალექსეევის გეგმაზომიერმა მუშაობამ. სპორტკლუბ „ლოკომოტივის“ საბჭოს დახმარებით ჩავატარეთ სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები. მარტის ბოლო რიცხვებში ქუთაისში, ჩვენს შესანიშნავ ხელოვნურსაფარიან მოედანზე, ჩატარდა პროფკავშირების სპორტულ საზოგადოების საკავშირო საბჭოს პირველი ჩემპიონატის ნახევარფინალური ეტაპის შეხვედრები. უძაღლესი ლიგის ოთხ წარმომადგენელთან ერთად ჩვენც ვიასპარეზეთ დ. არც თუ ურიგოდ. აპრილის პირველ რიცხვებში აქვე გამართულ საკავშირო თასის ნახევარფინალურ ტურნირში ხუთ გუნდს შორის მე-2 ადგილი დავიკავეთ. მართალია, უმაღლესი ლიგის გუნდებთან ან ჭიდილში ფინალურ ეტაპზე გასვლა ვერ შევძელით, მაგრამ ტურნირმა ოპტიმისტურად განგვაწყო.

● ჩვენს მკითხველებს, ალბათ აინტერესებთ, რა არის ამ ოპტიმისტური განწყობის საფუძველი.

— უკვე მეოთხედ გამოვდივარ I ლიგაში და ყოველ სეზონში ვ. უმჯობესებთ შედეგებს. ასე რომ წელს შარშანდელ მეშვიდე საფეხურს უნდა ავცილდეთ. თუმცა სა. კმაოდ ძნელი სეზონი გველის. ლიგაში 12 გუნდი გამოდის. ამჯერად აც უმაღლესი ლიგის ორი საგუნ. რისთვის ლიდერები — სამარყან. დის, ალმა-ათის, ერევნის, მინსკი. კოლექტივები იბრძოლებენ. გაუ. ქმებულია ფრეები, საყაიმო ანგა. რიშის შემთხვევაში პენალტები. სერია დაინიშნება. არის სხვა ცვლ. ლებებიც, რაც კიდევ უფრო ამ. ძაფრებს ბრძოლას როგორც ლ.

დაუღალავი ოპტიმისტი

ფოტოსურათი, რომელსაც სარედაქციო არქივში შემთხვევით წავაწყდით, არც ისე დიდი ხნისაა. 1966 წელს სარატოვში „დინამოს“ სამბისტთა საკავშირო პირველობაზე საქართველოს გუნდმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და ეს ფოტოც თბილისში ჩამოსვლისთანავე წარმატების აღსანიშნავად გადაიღეს. დინამოელთა ტურნირში გამარჯვება იმთავითვე საპატიო საქმედ ითვლებოდა, ვინაიდან ჩვენი ყველა წამყვანი სამბისტი სწორედ ამ საზოგადოებაში იყო თავმმოყრილი.

ქართული ჭიდაობა და სამბო მონათესავე დისციპლინებია და ერთმანეთს უმტკივნეულოდ, ბუნებრივად ავსებენ. ალბათ ამიტომ წესად არის მიღებული: მიაღწევ რაიმე წარმატებას ნახერხმოყრილ სარბიელზე — უმალ სამბოში უნდა გადახვიდე და უკვე იქ დაამთავრო შენი კარიერა. მონაცვლეობის ამ თავისებურ და მწყობრ სისტემას დიდი ხნის წინათ საფუძველი ძმებმა ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილებმა ჩაუყარეს. ისინი პიონერები იყვნენ, მერე კი მათ კვალს მათივე მოწაფე ბიძინა მაზიაშვილი გაჰყვა.

თვითონ ბიძინამაც ეს გზა გაიარა. ქართული ჭიდაობა კახეთის ერთ-ერთ სოფელში დაიწყო, იქ, სადაც ჭარბად ჩქეფდა საჭიდაო ცხოვრება, ეწყობოდა შეჯიბრებები, ფალავანთა საჯარო გამოსვლები, სხვადასხვა დღესასწაულები. ერთ ასეთ ტურნირზე, რომელსაც ეროვნული სპორტის დიდი ქომაგი და მოამაგე მიხეილ ხერხეულიძე თავკაცობდა, სხვებთან ერთად ბიძინა მაზიაშვილიც შეამჩნიეს. ნინიაშვილებს უტყუარი აღლო ჰქონდათ და ახალგაზრდა მოჭიდავე მაშინვე ჩარიცხეს სამბისტთა გუნდში, რომელიც მოსკოვს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების პირველობაში საასპარეზოდ მიემგზავრებოდა. ასე გახდა იგი სამბისტი, თუმცა...

მის არჩევანში არსებითი კორექტივი თავად ცხოვრებამ შეიტანა და წილადაც ის არგუნა, რისთვისაც იმთავითვე იყო მოწოდებული. ახალგაზრდა, ენერგიული და მოწადინებული კაცის უნარს უფრო ფართო ასპარეზი სჭირდებოდა, ვიდრე საჭიდაო სარბიელია. ალბათ ბიძინასაც უტყუარი აღმოაჩნდა, თვალი — მახვილი, ამიტომ ნამდვილ მოჭიდავეს მაშინვე სცნობდა. ახალგაზრდობა მისი დაჟინებითი რჩევით სამბოს მიაწყდა.

1962 წელს ძიუდოს ფედერაციის შექმნით სამბისტთა წინაშე ფართო პერსპექტივები გადაიშალა. ბიძინაც, ჩვეული ენერგიით, ახალი საქმეობის დანერგვასა და პოპულარიზაციას შეუდგა, ბევრი გამოუცდელი ძიუდოისტი — მომავალი ჩემპიონი ერთადერთ, სწორ გზაზე დააყენა. ზოგს თვითონ ავარჯიშებდა, ზოგს სხვა მწვრთნელებს უგზავნიდა, მაგრამ ყურადღებას მერეც არ აკლებდა. მთავარი იყო, არც ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა უპატრონოდ, უყურადღებოდ არ დარჩენილიყო, ეს მის პედაგოგიურ ნიჭსა და ალღოზე მეტყველებდა.

ჯიბილო ნიჟარაძეს, მაგალითად, ჯიხაიშის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში დაადგა თვალი. ეს ვეება ვაჟკაცი მაშინ ფრენბურთს თამაშობდა. მალხაზ ბერუაშვილი ქარელის ერთ-ერთ სოფელში აღმოაჩინა. ორივეს უპატრონა, მწვრთნელები მოუძებნა, სწორ გზაზე დააყენა.

თვითონაც ბევრი სახელოვანი ფალავანი აღუზრდია. ორ მათგანს ანზორ მარტყოფლიშვილსა და გივი ონაშვილს შვილივით თავს ევლებოდა, მათთან ერთად ცხოვრობდა, ჭამდა, სვამდა, თანაბრად იზიარებდა მათ სიხარულს თუ გაჭირვებას.

ოცი წლის მანძილზე საქართველოს ძიუდოისტთა თავკაცი იყო — ნამდვილი მწვრთნელი-სელექციონერი. ოცი წლის განმავლობაში ქართულმა ძიუდომ არნახული

მწვერვალები დაიპყრო, ხაქვეყნად გაითქვა სახელი ჩვენშიც, უცხოეთშიც. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ოთხ ოლიმპიადაში ქართველ ძიუდოისტებს რვა ყველა სიჯის მედალი აქვთ მიღებული. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში ძიუდო პირველად 1975 წელს შეიტანეს. რესპუბლიკის ნაკრები, რომელსაც სათავეში ბიძინა ედგა, ამ პირველი, დამფუძნებელი ტურნირის ჩემპიონია. ერთი წლით ადრე ანალოგიურ წარმატებას ახალგაზრდულმა გუნდმა მიაღწია, მთავარი მწვრთნელის დამსახურება და ღვაწლი აქაც დიდი იყო. ბიძინა მაზიაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებს (მოზრდილებშიც და ახალგაზრდებშიც) საკავშირო თასის პირველი გათამაშება აქვს მოგებული.

ყველგან — პირველი, ყველგან გამარჯვება და... ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ამ საოც წელს მიღწეული კაცის ხალისი და ენერგია გაოცებს. ხშირად უთქვამს: თუ გინდა საქმე გააკეთო არც თავი უნდა დაზოგო და არც სხვა მოასვენო. თავი რომ არ დაუზოგავთ ბიძინას და მის მსგავს ენთუზიასტებს იმიტომაცაა ჩვენში ძიუდო ასე დაფასებული.

თავი არ დაზოგა, სხვაც ბევრჯერ შეაწუხა და კიდევ ერთ სახუკვარ მიზანს მიაღწია. 1965 წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის მსგავსად სამბოსა და ძიუდოს სპეციალიზაციაც რომ გაიხსნა, მისი დიდი დამსახურებაა. ათი წელი ინსტიტუტში მასწავლებლად მუშაობდა და სპეციალური კურსიც მიჰყავდა, ამ ახალმა სპეციალობებმა ინსტიტუტის კედლებში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოიზიდა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ორ გვარს დავასახელებთ — ლევან თედიაშვილს და გენადი გიორგაძეს.

რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ძიუდოს სპეციალიზებული სასახლის გახსნა. ბიძინა მაზიაშვილი ამ იდეის ავტორიც გახლდათ და მისი ხორცშესხმის მთავარი ორგანიზატორიც. სათქმელად თითქოს იოლია, ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი სპორტული ნაგებობა შეემატაო, მაგრამ რა რთული იყო ამ საქმის ბოლომდე მიყვანა? რა ნერვებისა და ენერგიის ფასად დაჯდა ეს მშენებლობა?..

სამოცი წელი არაფერია, როცა საქმე გიყვარს და გულიც გერჩის, ბიძინა მაზიაშვილი სწორედ ის კაცია, რომელიც მომავალს ოპტიმიზმით შეჰყურებს.

ნოდარ გუგუშვილი.

● ● ●

სურათზე: „დინამოს“ სამბისტთა საკავშირო პირველობაში გამარჯვებული გუნდი (1966 წელი, სარატოვი). დგანან (მარცხნიდან) ქრისტეფორე ნინიაშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, მიხეილ გოგავა, ანზორ მარტყოფლიშვილი, ბესარიონ ეიფაიშვილი, გია ხოხიტაშვილი. პირველ რიგში — შოთა გულიაშვილი, გოდერძი ნონიკაშვილი, ზაურ სანჯაძე და თენგიზ ასანიძე.

ერთა, ისე აუტსაიდერთა შორის. გუნდში ბევრი ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენი გვყავს, რომლებიც წელს გარკვეულ გამოცდილებას შეიძენენ, ნოემბერში კი საბჭოთა არმიის რიგებიდან ერთბაშად 12 ჰოკეისტი დაგვიბრუნდება. ეს ზონის დამლევს, „ალბათ, პირველ საერთაშორისო შეხვედრებსაც ჩავატარებთ უნგრეთში, განზრახული გვაქვს მეგობრული კონტაქტების დამყარება გდრ-ის ბალახის ჰოკეისტებთანაც. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გუნდის წინსვლას შეუწყობს ხელს და იმედი გვაქვს, გაიარ უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ვიბრძოლებთ. ამ „პრეტენზიულ“ განცხადებას ჩვენს მიმართ გზრდილი ყურადღებაც გვაბედვინებს...

● **ადრე სწორედ უყურადღებობას უჩიოდით...**

— დიახ, ასე იყო. წელს კი, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, შეიქმნა ბალახის ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაცია. მისი „შტაბბინა“ ქუთაისშია და მას ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე რევაზ რობაქიძე ხელმძღვანელობს. მისი უშუალო დახმარებით არაერთი საკითხი მოგვარდა. საქალაქო სპორტკომიტეტთან გაიხსნა ბავშვთა და მოზარდთა რეგბისა და ბალახის ჰოკეის სპორტსკოლა. სკოლას საქალაქო ფედერაციაც ეხმარება. ახლა 250 ბავშვი ეუფლება „ეწვანე“ ჰოკეის. აქტიურად გვეხმარებიან საშეფო ორგანიზაციის — ენერგეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა გარნისა და პროფკავშირების სპორტული საზოგადოების მუშაკები. იზრდება ბალახის ჰოკეის გავრცელების არეალიც. ტრადიციულ ცენტრებს — თბილისს, ქუთაისს და ბათუმს გვერდში ამოუდგნენ ლანჩხუთი, წყალტუბო და ვანი. თუმცა გუნდების შექმნა სხვა რეგიონებშიც საჭიროა. ამისათვის. გარკვეულ მუშაობას ეწევა საქართველოს სპორტსახკომი და უმაღლესი დოსტატების № 1 სკოლა.

რაც მთავარია, გვაქვს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო მოდანი, მაღალი ხარისხის სათამაშო ნვენტარიც შევიძინეთ, ეგაა რომ, ეორმის საკითხი ჯერჯერობით ვერ ოვაგვარეთ. სამი წელიწადია გვპიდებიან, მაგრამ დღემდე ვერ მოერხდა ჩვენთვის ავტობუსის გაოყოფა.

ახლა ჩვენი ახალგაზრდა სპორსმენები რესპუბლიკის ნაკრების ემადგენლობაში ჭაბუკთა II საავშირო თამაშებისთვის ემზადებიან. სასტარტო მატჩებში მათ გაუშე გვიწევს გამოსვლა და მთელი სიმძიმე 14 ჰოკეისტს აწვება, მაგრამ, ვფიქრობთ, არ გავაწბილებთ ჩვენს გულშემატკივრებს, რომელთა რიცხვი წლითიწლით მატულობს.

თამაზ ხარაბაძე,
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).

ქუთაისი.

გუნდის სავიზიტო ბარათი

ქუთაისის „ლოკომოტივი“ — 88

მთავარი მწვრთნელი **თ. არჩაია**

უფროსი მწვრთნელი **ჭ. ბაზაძე**

მწვრთნელი **თ. ძიძიგური**

ექიმი **ი. კობახიძე**

მეკარეები: მ. ჩოჩუა (1965), დ. ნარსია (1966), ბ. კეპულაძე (1971).

მცველები: ა. კოხრეიძე (1962), ს. მამისეიშვილი (1963), გუნდის კაპიტანი მ. ფულარიანი (1958), თ. წიქარიშვილი (1966), ა. მილოვი (1966), ა. გოგავა (1965), ბ. შენგელია (1971).

ნახევარმცველები: დ. გოლეთიანი (1960), ა. ძნელაძე (1957), მ. ჭიკაძე (1963), გ. კუდუხოვი (1961), ხ. თოფურია (1969), ხ. არველაძე (1971), ა. მაჩალაძე (1965), გ. რადკო (1967), ა. გიგატაძე (1971), მ. კომახიძე (1971).

თავდამსხმელები: ა. ჯანგავაძე (1963), გ. ჩარკვიანი (1971), გ. არველაძე (1971), კ. ჯავახიძე (1966).

გათამაშების კალენდარი

I წრე

8-9.VI. „ლოკომოტივი“ — „ტრუდი“ (კუიბიშევი). 12-13.VI. „ლოკომოტივი“ — „სვერდლოვეცი“ (ძერჟინსკი). 21-22.VI. „ბურევესტნიკი“ (მინსკი) — „ლოკომოტივი“. 25-26.VI. დსკ (ბრესტი) — „ლოკომოტივი“. 30.VI-1.VII. „ლოკომოტივი“ — „ინშაათჩი“ (სუმგაითი).

II წრე

9-10.VII. „ინშაათჩი“ — „ლოკომოტივი“. 19-20.VII. „ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“ (სამარყანდი). 23-24.VII. „ლოკომოტივი“ — ასკ (ალმა-ათა). 3-4.IX. „სვემა“ (შოსტკა) — „ლოკომოტივი“. 7-8.IX. „ბურევესტნიკი“ (ვინიცა) — „ლოკომოტივი“. 13-14.IX. „ლოკომოტივი“ — „ბურევესტნიკი“ (ერევანი). 17-18.IX. „ლოკომოტივი“ — „აზერიტიფაკი“ 27-28.IX. „ტრუდი“ — „ლოკომოტივი“. 1-2.X. „სვერდლოვეცი“ — „ლოკომოტივი“. 11-12.X. „ლოკომოტივი“ — „ბურევესტნიკი“ (მინსკი), 15-16. „ლოკომოტივი“ — დსკ.

ნაკრების საწვრთნელი მატჩი

გუშინ მოსკოვში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ნაკრებ კავშირისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:1 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ.

ფეხბურთის ფედერაციის თასზე

დამთავრდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის პირველი წრის გათამაშება.

ჯგუფებში სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:

„ა“ ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მნ.	3	2	0	1	5-2	4
„უალგირისი“	3	2	0	1	5-3	4
„ზენიტი“	3	1	0	2	2-4	2
„დინამო“ კ.	3	1	0	2	2-2	2

„ბ“ ჯგუფი

„ნეფთჩი“	3	2	1	0	10-7	5
„შახტიორი“	3	1	1	1	4-5	3
„კაირატი“	3	0	2	1	5-6	2
„დინამო“ თბ.	3	0	2	1	3-4	2

„ვ“ ჯგუფი

„სპარტაკი“	3	2	1	0	6-2	5
„დინამო“ მ.	3	1	2	0	3-2	4
„ტორპედო“	3	1	0	2	1-4	2
„ლოკომოტივი“	3	0	1	2	2-4	1

„გ“ ჯგუფი

„ჩერნომორეცი“	3	2	0	1	5-3	4
„მეტალისტი“	3	2	0	1	3-1	4
„დნეპრი“	3	1	1	1	2-3	3
„არარატი“	3	0	1	2	1-4	1

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

ლანჩხუთის „გურიისა“ და ნიკოპოლის „კოლოსის“ მატჩში (I ლიგა), რომელიც ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1 (პირველი ტაიმი 1:1), მასპინძელთაგან ორივე ბურთი ბარათაშვილმა გაიტანა (ერთი — პენალტით), ხოლო სტუმართაგან — ხაპსალისმა. გააფრთხილეს „გურიის“ ფეხბურთელი კაკილაშვილი.

II ლიგა

30 მაისს გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VIII ტურის შეხვედრები ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით: „კოლხეთი“ (ფოთი) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 1:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 1:0.

VIII ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

გათამაშების ცხრილები

II ლიგა, III ზონა

მდგომარეობა 2 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ ო.	8	5	2	1	17-8	12
„სპარტაკი“ ნ.	7	5	1	1	11-5	11
„ლოკომოტივი“	8	5	0	3	11-6	10
„სპარტაკი“ ტ.	7	5	0	2	12-8	10
„ლორი“	8	4	1	3	10-9	9
„კოლხეთი“	8	4	1	3	5-6	9
„ტორპედო“	8	3	3	2	12-9	9
„დინამო“	8	4	0	4	7-6	8
„მეტალურგი“	7	3	1	3	13-7	7
„დრუჟბა“	8	3	1	4	12-6	7
„სპარტაკი“ ა.	7	3	1	3	7-11	7
„ნარტი“	8	2	3	3	11-10	7
„ლუჩი“	8	3	0	5	11-13	6
„ოლიმპია“	8	3	0	5	8-15	6
„მერცხალი“	8	3	0	5	7-14	6
„ისკრა“	8	2	2	4	4-13	6
„ცემენტი“	7	1	4	2	7-9	6
„მაშუკი“	7	1	4	2	6-8	6
„ურალანი“	7	2	1	4	10-11	5
„ვოლგარი“	7	2	1	4	4-11	5

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 2 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“	6	5	1	0	10-4	11
„ქიაფაზი“	6	4	1	1	15-4	9
„სოკოლი“	6	4	1	1	13-7	9
„ტორპედო“ ქ.	6	4	1	1	11-7	9
„შევარდენი“-სპი	6	3	1	2	8-4	7
„გოიაზანი“	6	3	1	2	10-8	7
„თერგი“	6	3	0	3	5-6	6
„დილა“	6	3	0	3	7-13	6
„ავტომმაში“	6	2	2	2	7-3	6
„ტექსტილშჩიკი“	6	2	1	0	7-6	5
„დინამო“	6	2	1	3	8-9	5
„ტორპედო“ ვ.	6	2	1	3	8-11	5
„ხაზარი“	6	1	2	3	5-9	4
„ლოკომ.“-ომც.	6	1	1	4	8-12	3
„ბაკინეცი“	6	1	0	5	3-14	2
„ლოკ.“ (მინ. წ.)	6	0	2	3	3-11	2

ამხანაგური მატჩი

დნეპროპეტროვსკში გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „დნეპრსა“ და იტალიის „კორეჯეზეს“ შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 8:5.

ნაკრების საწვრთნელი მატჩი

გუშინ მოსკოვში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ნაკრებ კავშირისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:1 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ.

ფეხბურთის ფედერაციის თასზე

დამთავრდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის პირველი წრის გათამაშება.

ჯგუფებში სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:

„ა“ ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მნ.	3	2	0	1	5-2	4
„უალგირისი“	3	2	0	1	5-3	4
„ზენიტი“	3	1	0	2	2-4	2
„დინამო“ კ.	3	1	0	2	2-2	2

„ბ“ ჯგუფი

„ნეფთჩი“	3	2	1	0	10-7	5
„შახტიორი“	3	1	1	1	4-5	3
„კაირატი“	3	0	2	1	5-6	2
„დინამო“ თბ.	3	0	2	1	3-4	2

„ვ“ ჯგუფი

„სპარტაკი“	3	2	1	0	6-2	5
„დინამო“ მ.	3	1	2	0	3-2	4
„ტორპედო“	3	1	0	2	1-4	2
„ლოკომოტივი“	3	0	1	2	2-4	1

„გ“ ჯგუფი

„ჩერნომორეცი“	3	2	0	1	5-3	4
„მეტალისტი“	3	2	0	1	3-1	4
„დნეპრი“	3	1	1	1	2-3	3
„არარატი“	3	0	1	2	1-4	1

გაგრილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XIII ტურის მატჩები.

I ჯგუფი

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 4:0. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე). გოლები: ახალაია, ბენდელიანი, სიეინავა, ციმაკურიძე („სამეგრელო“).

სახიფათო შეტევის განზრახ ჩაშლისთვის გააფრთხილეს მ. კვირკველია („სამეგრელო“).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ივერია“ (ხაშური) 2:1. მსაჯი თ. ხოფრომაძე (თბილისი). გოლები: კიკნაძე-2 („მეტალურგი“), ხარაზიშვილი („ივერია“).

„მეშახტე“ (ტყიბული) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0. მსაჯი რ. ფარცვანია (ზუგდიდი).

„არმაზი“ (მცხეთა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:5. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: ყაჩლავაშვილი („არმაზი“), მგელაძე-2, ფანჩულიძე-3 („საპოვნელა“).

თანაგუნდელის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააფრთხილეს გ. ფანჩულიძე („საპოვნელა“). სახიფათო შეტევის ხელით ჩაშლისთვის გააფრთხილეს მ. ფხალაძე („არმაზი“).

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

„დინამო“ (გაგრა) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:0. მსაჯი თ. კურტანიძე (თბილისი). გოლები: კვარაცხელია-2, რაგანიანი („დინამო“).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:0. მსაჯი ე. გვარამაძე (რუსთავი). გოლები: ქოქიაშვილი, სანადირაძე („დურუჯი“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „სულორი“ (ვანი) 0:1. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).

არასპორტული საქციელისთვის მინდვრიდან გააძევეს ჯ. მელაძე („ქართლი“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლები: ქვანია, გუჩუა („ამირანი“).

„კოლხეთი“ (ხობი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:2. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე). გოლები: კაციტაძე, ლატარია, ქომეთიანი, სამხარაძე („კოლხეთი“), ძაგანია-2 (ფიზ. ინსტ.).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლები: ჩიქობავა („ეგრისი“), დანელია („სალხინო“).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი“	13	9	3	1	16-7	21
„კოლხეთი“	13	9	1	3	29-14	19
„დინამო“ ზ.	13	7	5	1	23-8	19
„ამირანი“	13	7	2	4	22-11	16
„მადნეული“	13	7	2	4	20-18	16
„შადრევანი“	13	6	4	3	14-9	16
„სამეგრელო“	13	7	1	5	18-18	15
„დინამო“ გ.	13	6	2	5	15-15	14
„ბახტრიონი“	13	6	2	5	16-17	14
„მეტალურგი“	13	6	1	6	22-16	13
„მეშახტე“	13	6	1	6	12-14	13
„სალხინო“	13	5	3	5	19-21	13
„დურუჯი“	13	4	5	4	15-18	13
„საპოვნელა“	13	5	1	7	21-18	11
„მაღაროელი“	13	4	3	6	14-19	11
„ქართლი“	13	4	3	6	16-24	11
ფიზკ. ინსტ. თბ.	13	2	6	5	19-25	10
„სქური“	13	3	3	7	13-20	9
„ივერია“	13	3	3	7	12-21	9
„ეგრისი“	13	2	5	6	11-19	9
„სპარტაკი“	13	2	3	8	14-21	7
„არმაზი“	13	2	3	8	15-23	7

4-5 ივნისი.
მსაჯთა რეესტრი

„ივერია“ (ხაშური) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ). **ზ. ჯინჭარაძე, ა. კოკაბიძე** (მახარაძე), **ი. ჯიქია** (ტრუსოვი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა)—„დურუჯი“ (ყვარელი) **თ. სადილიანი, რ. ტალიაშვილი, თ. გოცირიძე** (თბილისი). „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი)ძ **დ. გაგნიძე, შ. მაჭარაშვილი, ნ. ბიძინაშვილი** (თბილისი). „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მეშახტე“ (ტყიბული). **მ. მაღლაფერიძე, ვ. შელია, გ. მიქაუტაძე** (ქუთაისი). „სულორი“ (ვანი) — „არმაზი“ (მცხეთა). **გ. ხეჩუაშვილი, უ. ფურცელაძე, ზ. თოფურია** (თბილისი). „დინამო“ (ზუგდიდი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი). **გ. გაბისკირია, ო. გაგუა, ა. ტოროსიანი** (სოხუმი). „მადნეული“ (ბოლნისი) — „შადრევანი“ (წყალტუბო), **მ. კობიაშვილი, მ. მალაღურაძე, ო. გუნთაძე** (თბილისი). ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). **მ. მირცხულავა, ვ. გვიჩია, მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი).** „სქური“ (წალენჯიხა) — — „კოლხეთი“ (ხობი). **ე. სილაგავა, მ. ჭელიძე, ა. შილაკაძე** (თბილისი). „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დინამო“ (გაგრა), **ა. მანუკიანი, ი. კანდელაკი, ნ. კოლაძე** (თბილისი). „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ეგრისი“ (ცხაკაია). **ვ. ალიევი, ზ. დარჩია, ტ. ნიშნიანიძე** (თბილისი).

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„სამგორი“ (გარდაბანი) — ახ. საფ. სკ. (თბილისი) 2:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ალგეთი“ (მარნეული) 4:2, სსი-(შუხრანი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „მეტალისტი“ (რუსთავი) — „კახეთი“ (თელავი) 1:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „ფოსტმატი“ (თბილისი) 2:1, „უნივერსიტეტი“ (თბილისი) — „მეფრინველე“ (კასპი) 1:2, „თორი“ (ბორჯომი) — „არაგვი“ (დუშეთი) 3:2, „აბული“ (ახალქალაქი) — „იმედი“ (თბილისი) 3:3.

დასავლეთი ზონა

„ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 0:2, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „კოლხეთი“-2 (ფოთი) 3:2, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) 2:1, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „დვაბზუ“ (მახარაძე) 6:2, ხდკ (სამტრედია) — „მზიური“ (გალი) 1:3.

III ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„ქიზიყი“ (სიღნაღი) — „შირაქი“ (წითელწყაროო) 0:3, „გარისი“ (თეთრი წყაროო) — „მიონი“-35 (თბილისი) 2:1, „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 1:2, „მარაბდა“ (კოდა) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 0:1, „განთიადი“ (დმანისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:3, „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) — „მეტალურგი“-2 (რუსთავი) 2:0.

ცენტრალური ჯგუფი

„ფარავნა“ (ბოგდანოვკა) — „ბაგიათი“ (ჯავა) 2:1, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) 2:1, „ქვემო ჭალა“ (კასპის რ-ნი) — „ავტომობილისტი“ (გორი) 1:1, „ზარზმა“ (ადიგენი) — „ფეიჭარი“ (ხაშური) 3:0, „ორპირი“ (ოკრიბა, ტყიბულის რ-ნი) — „მეშაქრე“ (აგარა) 5:2, „ხვამლი“ (ცაგერი) — „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) 2:0.

დასავლეთი ჯგუფი

„კახაბერი“ (ხელვაჩაურის რ-ნი) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 4:1, „ზანა“ (აბაშა) — „კოლხიდა“ (ქუთაისი) 1:1, „სპარტაკი“ (ბათუმი) — „ალიონი“ (გალის რ-ნი) 3:2.

გაიცანით: „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) და „ბახტრიონი“ (ახმეტა)

28 მაისს ჩხოროწყუში შედგა 12-13 ტურის მატჩი ადგილობრივ „სამეგრელოსა“ და ახმეტის „ბახტრიონს“ შორის. ეს გუნდები სეზონურინრო ცხრილში მეზობლად იმყოფებოდნენ და პირველ ადგილზე ადგილის დასამკვიდრებლად იბრძვიან.

უკვე რამდენიმე წელია „სამეგრელო“ სტაბილურად გამოდის რესპუბლიკურ ჩემპიონატებში და საბრძოლო ადგილების პრეტენზიებსაც აცხადებს, ხოლო 1985-1986 წლებში ორჯერ გავიდა რესპუბლიკური თასის გათამაშების ფინალში.

„სამეგრელო“ ძირითად შეხვედრებს ადგილობრივი განათლების განყოფილების სპორტსკოლიდან ღებულობს (დირექტორი ო. ჩიქოვანი, მწვრთნელი რ. ყალიჩავა), გუნდში 1972-1973 წლებში დაბადებული რამდენიმე ფეხბურთელი სწორედ ამ სკოლიდანაა ჩარიცხული.

ჩხოროწყუელთა მწვრთნელად სულ ახლახან მისი ყოფილი ფეხბურთელი რ. გოგუა დანიშნეს, მას პირველ რიგში გუნდის გაახალგაზრდავება აქვს დასახული. მართალია, ჩხოროწყუელთა საშუალო ასაკი 23 წელია, მაგრამ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი 28-30 წლისაა, ამიტომაც საჭიროა აქცენტის გადატანა პერსპექტიულ ახალგაზრდებზე.

ახმეტის „ბახტრიონი“ წლეულს გადმოვიდა პირველ ჯგუფში და მონდომებული თამაშით ურიგო შედეგი არა აქვს. როგორც მწვრთნელმა ნ. ფედოტოვმა გვითხრა, საშუალო ასაკი 22 წელს არ სცილდება. გუნდი შევსებას სპორტსკოლიდან ღებულობს, სადაც ფეხბურთის დიდი ენთუზიასტი და ამ საქმის კარგი მცოდნე ზ. ფშაველაშვილი მუშაობს. მისი აღზრდილები წარმატებით გამოვიდნენ „სიეიბაუკის თასის“ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, 1986 წელს ზონაში გამარჯვებულებმა მეოთხედფინალშიც კი ითამაშეს.

ორივე გუნდმა მთელი მონდომებით დაიწყო თამაში, მასპინძლების უპირატესობა თანდათან სულ უფრო თვალსაჩინო გახდა, ამიტომ 4 „მშრალი“ ბურთი სრულად ასახავს ამ მატჩის სურათს, პირველ ნახევარში მ. ახალაიამ 11-მეტრიანი ზუსტად შეასრულა. შემდეგ ჯ. ბენდელიანმა ისარგებლა მცველთა დაბნეულობით და ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში ციმაკურიძემ რამდენიმე მცველი მოატყუა, მეკარესთან პირისპირ დარჩა, ახლო მანძილიდან მესამედ აიღო მეტოქის კარი, ხოლო მეოთხე გოლი ი. სიჭინავამ გაიტანა.

მატჩს სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯთა ბრიგადა — მახარაძელი ა. კიკაბიძე, ქობულეთელი ვ. ჯიქია და წულუკიძელი თ. მაჭარაძე. კომისრად მოვლინებული იყო საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ვ. შავდია.

ნუგზარ ფეანია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

მძაფრი ფინალი

ფინალური ტურნირში ყოველი გამარჯვება უაღრესად მძაფრი და დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოდის. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან გათამაშების ამ ეტაპზე ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. გუშინწინდელ მატჩებში, მაგალითად, ვერც ერთმა გუნდმა გადამწყვეტ უპირატესობას ვერ მიაღწია. რაც იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკური ჩემპიონატის საპრიზო ადგილებისთვის უმთავრესად თანაბარი სიძლიერის გუნდები იბრძვიან.

31 მაისი. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — სოხუმი 105:101 (53:52).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: ჩერქეზიშვილი (30), ფერიაშვილი (29), კობეშავიძე (21), უძილაური (17), დათიკაშვილი (8).

სოხუმი: ჩუბინიძე (32), სულავა (24), ჭითავა (19), სუშჩენკო (19), ზარქუა (5), მოსკალენკო (2).

31 მაისი. ქუთაისი — „სინათლე“ (თბილისი) 97:95 (48:42).

ქუთაისი: დარსაძე (35), ხუჯაძე (23), ანდღულაძე (17), გოგსაძე (12), გუბელაძე (10).

„სინათლე“: გურასპაული (30), ბერუაშვილი (23), სინჯარაძე (17), ღონღაძე (10), ძიძავა (6), ქორქია (5), ჩაჩხიანი (4).

31 მაისი. სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 74:68 (37:30).

უნივერსიტეტი: ტურაშვილი (27), ტალაბაძე (13), ბოროდაჩოვი (12), რევაზიშვილი (8), ქართველიშვილი (7), ახვლედიანი (7).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: გიორგობიანი (13), ვაშაკიძე (13), სანაძე (10), ორმოცაძე (10), პეტრიაშვილი (9), ცხვედიანი (5), კოტრიკაძე (4), გაბრიჩიძე (2), დაუშვილი (2).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივნისისთვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
უნივერსიტეტი	23	21	2	44
„სინათლე“ (თბ.)	22	18	4	40
სპი (თბილისი)	23	17	6	40
ქუთაისი	22	17	5	39
ფიზკ. ინსტ. (თბ.)	22	16	6	38
სოხუმი	22	12	10	34

როგორც ხედავთ, გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა — უნივერსიტეტმა კიდევ უფრო განიმტკიცა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში. უახლოეს კონკურენტს იგი უკვე 4 ქულით უსწრებს, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ უნივერსიტეტელებს ერთი შეხვედრით მეტი აქვთ ჩატარებული.

ფინალურ ტურნირში კარგად თამაშობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდიც. მან უკვე ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო, მაგრამ გათამაშების პირველ ეტაპზე დაკარგული ქულები მას შესამჩნევად ურთულებს მდგომარეობას.

დიდი სპორტის კარიბჭესთან

ოპტიმიზმი მათი თვისებაა

თხუთმეტი-თვრამეტი წლის ჭაბუკები, ჩვეულებრივ, მაქსიმალისტები არიან. არ უყვართ კომპრომისი და მაინცდამაინც არც მოთმინებით გამოირჩევიან. ამ ასაკში ალბათ ასეც უნდა ხდებოდეს. ოღონდ ესაა — მიზანს ყველა ერთდროულად, ცხადია, ვერ მიაღწევს. სწორედ ამის გამო ზოგს ძალაუნებურად ლოდინი უხდება. ჩქარობს, ვერ ისვენებს. მაგრამ სხვა გზა რომ არ არის, იძულებულია თავის რიგს დაელოდოს.

კოტე გოგელია ამ წარმატებისთვის შინაგანად მზად იყო, მაგრამ არ იქნა და არ დადგა მისი ჯერი. ჭაბუკ ჩოგბურთელთა ტურნირებში გამარჯვებას მუდამ ერთი საფეხური აშორებდა. ამ საფეხურზე ასვლას „ძველი“ მეტოქე და მეგობარი ალექსანდრე სიმონიანი ასწრებდა.

ისინი სამნი არიან, სამი განუყრელი მეგობარი — კოტე გოგელია, ალექსანდრე სიმონიანი და გიორგი კუპრეიშვილი. ლხინიც და ჭირიც საზიარო აქვთ. მაგრამ კორტზე ყველაფერს ივიწყებენ, ბრძოლის გარდა. სამივეს მამაკაცური ხასიათი აქვს, იციან, რომ სპორტი ჯანსაღი კონკურენციის გარეშე წარმოუდგენელია.

კოტე ჩოგბურთს 1981 წლიდან თამაშობს. ადრე ფეხბურთით იყო გატაცებული, მაგრამ უფროსების რჩევას დაჰყვა და ფეხბურთი ჩოგბურთზე გაცვალა. გაუმართლა, რომ ბედმა გამოცდილ და გულისხმიერ აღმზრდელთან გრანტ მუსაელიანთან დააკავშირა.

დაახლოებით ასეთივე გზა განვლეს სპორტში მისმა მეგობრებმა. მარცხიც ბევრი განუცდიათ, სიხარულიც, მაგრამ არც გული გასტეხიათ და არც გაზვიადებულად შეუფასებიათ წარმატება. წლეულს სამივეს ძნელი გამოცდა მოელის ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში. სწორედ მომავალი გამოცდისთვის სამზადისის ერთ-ერთი ეტაპი იყო 1970-1973 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა, რომელიც ამ დღეებში თბილისში ჩატარდა.

პირველობა რომ ალექსანდრე სიმონიანს მოეგო, ვიტყოდით განსაკუთრებული არაფერი მომხდარაო. განსაკუთრებული მართლაც არაფერი მოხდა. ოღონდ ესაა: კოტემ თავის მეგობარს ამჯერად დაასწრო უმაღლეს საფეხურზე ასვლა. კაცმა რომ თქვას, არც ეს არის დიდი ამბავი. სპორტში უმაღლეს მწვერვალს ხან ვინ იპყრობს, ხან ვინ...



და მაინც, ეს დღე კოტეს უფრო ახსოვს. ახსოვს იმიტომ, რომ მეგობარს ბოლოს და ბოლოს დაუმტკიცა თავისი ძალა, მან ამ ტურნირში ოთხი შეხვედრა მოიგო, სანამ პირველ ადგილზე გავიდოდა, განსაკუთრებით ძნელი იყო ბოლო ბრძოლაში სიმონიანთან გამარჯვება. ძნელი რომ იყო და გაიმარჯვა, სიხარულიც ამან მოუტანა.

● **ახლა ამ წარმატების შენარჩუნება და გაღრმავებაა საჭირო.**

— არ არის გამორიცხული, რომ ხვალ ან ზეგ ანალოგიური შეჯიბრება ჩემმა მეტოქეებმა მოიგონ. მე ის მახარებს, რომ ამ გამარჯვებამ რწმენა შემმატა — თავს კორტზე უფრო თავისუფლად და დაჯერებულად ვგრძნობ.

● **იქნებ სპორტული სიმწიფის დრო დადგა?**

— შესაძლებელია, თუმცა სპორტულ სიმწიფეზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევად მეჩვენება.

● **როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი მთავარი „კოზირი“?**

— ალბათ, მოწოდება.

● **სუსტი მხარე?**

— ძლიერი პირველი მოწოდების მიღება. ახლა მთავარ ყურადღებას ამ ელემენტის დაუფლებას ვუთმობ.

● **სად უფრო იოლია თამაში — წინა ხაზზე თუ უკან?**

— მეტოქეს გააჩნია — ვის რა ეხერხება, ვის რა უყვარს.

● **პირადად თქვენ რას ამჯობინებთ?**

— ბადესთან თამაში მეტ სიამოვნებას მგვრის, ალბათ იმიტომ, რომ უფრო მეხერხება. სიმონიანი, მაგალითად, თავს უკეთ გრძნობს პოზიციურ თამაშში. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვავსებთ და თამაშიც საინტერესო გამოგვდის.

● **წლეულს რა შეჯიბრებები გელით?**

— ბევრი, მაგრამ მათში ორი მთავარია — ჭაბუკთა საკავშირო თამაშები და ქვეყნის პირველობა ჩვენს ასაკში.

კოტე გოგელია ჯერ ახალგაზრდაა. სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე. როგორც ყველა მეცნენე, ბევრს ფიქრობს თავის სპორტულ მომავალზე და დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან მიზანს მიაღწევს. ოპტიმიზმი ამ ასაკის ჭაბუკთა თვისებაა.

ნოდარ ახვლედიანი.

სპორტული ერთვნული ბიბლიოთეკა

2-4. საგზატკეცილო ველოსრბოლა. ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშები (მრავალდღიანი რბოლა). **თბილისი.**

2-4. თანამედროვე ხუთჭიდი. საქართველოს პირველობა IV ახალგაზრდული რესპუბლიკური თამაშების პროგრამით. **თბილისი.**

2-6. მშვილდოსნობა. საქართველოს თასი. **ზუგდიდი.**

2-7. ტყვიის სროლა. საქართველოს ჩემპიონატი. **სოხუმი.**

2-8. მეკლდეურობა. საქართველოს პირველობა. **ყაზბეგი.**

2-7. შაში. რესპუბლიკური შეჯიბრება. **თბილისი.**

4-5. მძლეოსნობა. საკავშირო თასის გათამაშება 1970 წელს დაბადებულ და უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორის (ზონალური შეჯიბრება). **თბილისი.**

4-6. ქართული ჭიდაობა. საქართველოს გუნდური პირველობა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა შორის. **მცხეთა.**

4-6. ძალოსნობა. საქართველოს პირველობა 1971 წლამდე დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ხაჩხერე.**

9-17. სასტენდო სროლა. საქართველოს ჩემპიონატი. **მახარაძე.**

16-19. მხატვრული ტანვარჯიში. რესპუბლიკური შეჯიბრება 1973-74 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშების პროგრამით. **ბათუმი.**

16-22. კალათბურთი. რესპუბლიკური ფესტივალი „მინიკალათბურთი“ 1976-77 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

17-26. საგზატკეცილო ველოსრბოლა. საქართველოს პირველობა მრავალდღიან რბოლაში 1973-74 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის. **თბილისი.**

21-30 შაში. საქართველოს XVI ჩემპიონატი ქალთა შორის რუსულ შაშში. ფინალი. **ლაგოდეხი.**

21-25. ცურვა. საქართველოს ჩემპიონატი IV ახალგაზრდული რესპუბლიკური თამაშების პროგრამით. **ბათუმი.**

21-26. წყალში ხტომა. საკავშირო თასის გათამაშება. **თბილისი.**

21-26. ჩოგბურთი. სსრკ პირველობა 1972-75 წლებში დაბადებულ ვაჟთა და გოგონათა შორის. **თბილისი.**

21/VI-2/VII. შაში. საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა შორის რუსულ შაშში. პირველი და მეორე ეტაპები. **თბილისი.**

23-26. ძიუდო. თბილისის XIX საერთაშორისო ტურნირი. **თბილისი.**

24-26. კლასიკური ჭიდაობა. საქართველოს თასის გათამაშება 1971-72 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **მახარაძე.**

27-30. წყალბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. II ტური. **ქუთაისი.**

სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

საფეხბურთო „სპორტპროგნოზი“

მთავრდება სპეციალური ტირაჟის ბილეთების მიღება, რომელიც შედგენილია ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მატჩებზე.

ჩემპიონატში მონაწილე 8 გუნდი 2 ჯგუფადაა დაყოფილი:

I ჯგუფი — გფრ, იტალია, დანია, ესპანეთი;

II ჯგუფი — ინგლისი, ირლანდია, ჰოლანდია, სსრ კავშირი.

უნდა გამოიცნოთ შემდეგი შეხვედრების შედეგები:

1. **დანია — ესპანეთი 11.06.88**
2. **ჰოლანდია — სსრ კავშირი 12.06.88**
3. **გფრ — დანია 14.06.88**
4. **იტალია — ესპანეთი 14.06.88**
5. **ინგლისი — ჰოლანდია 15.06.88**
6. **ირლანდია — სსრ კავშირი 15.06.88**
7. **გფრ — ესპანეთი 17.06.88**
8. **იტალია — დანია 17.06.88**
9. **ინგლისი — სსრ კავშირი 18.06.88**
10. **ირლანდია — ჰოლანდია 18.06.88**
11. **პირველი ნახევარფინალი:**

პირველი ჯგუფის გამარჯვებული

მეორე ჯგუფის მეორე გუნდი — 21.06.88

12. **მეორე ნახევარფინალი:**

მეორე ჯგუფის გამარჯვებული

პირველი ჯგუფის მეორე გუნდი — 22.06.88

13. **ფინალი.**

ნახევარფინალებში გამარჯვებულები — 25.06.88

ნახევარფინალებსა და ფინალებში შედეგი განისაზღვრება თამაშის ძირითადი დროის მიხედვით.

სპეციალურ ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად ბილეთების შევსება ხდება ისევე, როგორც სხვა ტირაჟებში.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ტირაჟის ნომრის მისანიშნებელ უჯრედებში ნომრის ნაცვლად უნდა ჩაიწეროს ორი ასო — „CT“.

სპეციალური ტირაჟისთვის შევსებული ბილეთების მიღება შეწყდება „სპორტპროგნოზის“ 24-ე ტირაჟის ბილეთების მიღების დამთავრებასთან ერთად.

ბილეთების მიღებისა და მათი „ბე“ ნაწილების „სპორტლოტოს“ ყუთებში ჩაყრის კონკრეტული ვადები მითითებულია ბილეთების მიმღებ პუნქტებსა და „სპორტლოტოს“ ყუთებზე.

ფეხბურთის მოყვარულებს ვიწვევთ სპეციალურ ტირაჟში მონაწილეობის მისაღებად და წარმატებას ვუსურვებთ მათ!

საქსპორტლოტო.

საფრანგეთის ღია ჩემპიონატი

პარიზი. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ჭეშმარიტი გმირები საბჭოთა სპორტსმენები არიან.

როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ანდრეი ჩესნოკოვის შეხვედრა უიმბლდონის შარშანდელ ჩემპიონ ავსტრალიელ პატ კეშთან წვიმიანი ამინდის გამო არ შემდგარა. ერთი დღის შემდეგ მეტოქენი გამოვიდნენ კორტზე და... ჩესნოკოვმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა — 2:6, 6:2, 6:4, 6:3. იგი რვა უძლიერეს ჩოგბურთელთა შორის გავიდა.

კიდევ უფრო წაიწია წინ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ნატალია ზვერევამ. მეოთხედფინალში მან ფარხმალი დააყრევინა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს ჩეხოსლოვაკიელ ჰელენა სუკოვას — 6:2, 6:3, ზვერევას მეტოქე ნახევარფინალში იქნება ავსტრალიელი ნიკოლ პროვისი, რომელმაც ესპანელ არანტა სანჩესს მოუგო — 7:5, 3:6, 6:4.

ქალთა ტურნირის მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ შტეფი გრაფი (გფრ) და გაბრიელა საბატინი (არგენტინა).

ჩესნოკოვის მორიგი მეტოქე მეოთხედფინალში ფრანგი ანრი ლეკონტია.

მსოფლიო თასი — შვედებს

დიუსელდორფში (გფრ) დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აშშ-ის, შვეიცის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, არგენტინის, გფრ-ის, შვეიცარიის და ესპანეთის ნაკრები გუნდები, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. I ჯგუფში მოხვდნენ აშშ-ის, საფრანგეთის, არგენტინის და შვეიცარიის, ხოლო II-ში შვეიცის, ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ის და ესპანეთის ნაკრებები.

ქვეჯგუფებში შეხვედრების შემდეგ გაირკვა ფინალისტების ვინაობა. აშშ-ის გუნდმა ფინალამდე დაამარცხა საფრანგეთის — 3:0, არგენტინის — 2:1 და შვეიცარიის — 2:1 გუნდები, შვედებმა კი ჯერ გფრ-ის ნაკრებს სძლიეს — 2:1, შემდეგ კი ესპანეთის და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს მოუგეს შესაბამისად 3:0 და 2:1.

ფინალურ შეხვედრაში შვეიცის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ: ედბერგი, იარიდი და კარლსონი, დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა აშშ-ის ნაკრები (ფლეში, სეგუსო, მაიოტო, კრიკშტეინი) 2:1 და სპატიო თასს დაეუფლა.

ედბერგმა დაამარცხა მაიოტო 6:4, 6:2, კარლსონმა სძლია კრიკშტეინს 6:4, 6:3.

„სპორტპროგნოზი“

ჩვენი გაზეთის გუშინდელ, 1 ივნისის, ნომერში გამოქვეყნებულ „სპორტპროგნოზის“ 22-ე ტირაჟის შედეგებში მე-13 წყვილის შედეგი უნდა იკითხებოდეს **13-2.**

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

2 ივნისი

რეგბი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

„ელმავალი“ (თბილისი) — „ზვეზდა“ (ტაშკენტი)

დასაწყისი 18 ს. და 30 წთ.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10769